ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. აპრილის 29. № 7 ნაწილი პირველი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

53. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობის შესახებ.

54. „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის" ორდენის სტატუტის დამტკიცების შესახებ.

სტატუტი „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის" ორდენისათვის.

55. ქ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფროსისათვის უფლების მიცემის შესახებ—დაადოს გადასახდელი—ერთ თვემდე დაპატიმრება—საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დამრღვევთ და აგრეთვე ქალაქის სანიტარული მდგომარეობისა და ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების თაობაზე გამოცემული სავალდებულო დადგენილების დამრღვევთ.

მრეწველობა.

56. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მრეწველობის გაწყობილობის აღწერის ჩატარების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

57. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანური სადარგო შენაერთების—საქართველოს ბაღ-ბოსტან-კავშირისა და საქართველოს მემინდვრეობა-მეცხოველეობის კავშირის რეორგანიზაციისა და საქმეების და ქონების ლიკვიდაციისთვის კომისიების დანიშვნის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

58. „დამმზადებელი აპარატის რეორგანიზაციის თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 13-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

სანადირო და სათევზე მეურნეობა.

59. „საქართველოს თევზის სააქციო საზოგადოების გამგებლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სათევზე სანახის გადაცემის თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

60. საცხოვრებელი ფართობით საინჟენერო-სატეხნიკო დარგის მომუშავეთა უზრუნველყოფის შესახებ.

შ რ ო მ ა.

61. ხე-ტყის მასალისა და შეშის გამოსაზიდად სადგურებამდე წყლით ჩამოტივტივების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილებამდე და ქარხნებამდე ხე-ტყის დამზადების რაიონებში მოსახლეობის შრომის ფასიან საჭაპანზიდვო ბეგარაზე გაწვევის შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება.

62. საქართველოს სსრ დაწყებითს და საშუალო სკოლაში სასკოლო რეჟიმისა და ბავშვთა ჯანმრთელობის საქმის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

63. საქართველოს მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან საკონდიციო ბიუროს მოწყობის შესახებ.

სისხლის სამართალი.

64. ა/კსფსრ დაარსების ათი წლის თავის აღსანიშნავად ამნისტიის თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის მარტის 11-ის დადგენილების საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე განხორციელების წესის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

53. დადგენილება ც.ა.კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ივნისის 14.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობის შესახებ.

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებობს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობა.

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობა:

ა) კონტროლსა და მეთვალყურეობას უწევს ხელისუფლების ყველა რესპუბლიკანური და ადგილობრივი ორგანოს მიერ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებათა და აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის დადგენილებათა და განკარგულებათა თავის დროზე აღსრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ამუშავებს და ამზადებს საკითხებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის სხდომებისათვის;

გ) ამზადებს, საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიების განსახილველ საკითხებს და აგრეთვე უწევს მათ საორგანიზაციო-ტეხნიკურ მომსახურეობას;

დ) წარუდგენს მოხსენებას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმს, კონტროლის განხორციელების წესით, ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ისეთ დადგენილებათა და განკარგულებათა გაუქმების თაობაზე, რაც ეწინააღმდეგება სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციას და კანონმდებლობას, და რაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხვა განყოფილებათა კომპეტენციის საკითხებს არ შეეხება;

ე) სათანადოდ წარმართავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში შესულ საკითხებს, თანაც იცავს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში განსახილველად საკითხების შეტანისათვის არსებულ წესებს;

ვ) ამუშავებს, საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის გეგმას;

ზ) აერთიანებს ადმინისტრატიულად და ტეხნიკურად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის აპარატის მუშაობას, კერძოდ, აღნუსხავს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყველა განყოფილებისა და ნაწილის პირად შედგენილობას, აძლევს მოწმობებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებსა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და ნაწილთა თანამშრომლებს; სცემს ინსტრუქციებს და შინაგანრიგების წესებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმის განყოფილებათათვის; სცემს განკარგულებებს (ბრძანებებს) ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის აპარატისადმი და სხვა.;

თ) ასრულებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებულ დავალებებს, აწყობს და აწარმოებს კონტროლს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, თავმჯდომარისა და მდივნის დადგენილებათა და დავალებათა შესრულებისათვის;

ი) განაგებს კრედიტებს ხარჯთარიცხვის მიხედვით.

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობას უფლება აქვს იქონიოს უშუალო ურთიერთ მიმართვა ხელისუფლების რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ორგანოებთან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ განსახილველი საქმეების გამო, კერძოდ, აქვს უფლება წინადადება მისცეს და მოსთხოვოს აღნიშნულ ორგანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს მათი აზრი და დასკვნა ყველა' იმ საკითხის თაობაზე, რაც განსახილველად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში შედის.

4. საქმეთა მმართველობის სათავეში სდგას საქმეთა მმართველი, რომელსაც ნიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

შენიშვნა. საქმეთა მმართველს ჰყავს მუდმივი მოადგილე, რომელსაც ნიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველი, ხოლო მისი არყოფნის დროს მისი მოადგილე, უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობის მუშაობას. საქმეთა მმართველი მომხსენებელია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომებზე და ამ სხდომებზე სათათბირო ხმის უფლება აქვს.

6. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობის სტრუქტურასა და შტატს ამტკიცებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

7. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობის განყოფილებათა და ნაწილთა ფუნქციები, აგრეთვე მუშაობის შინაგანრიგება განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციებით, რასაც ამტკიცებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი.

8. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობის თანამშრომლებს, მათ შორის განყოფილებათა და ნაწილთა გამგეებს, იმათ გარდა, ვისაც კანონის თანახმად ნიშნავს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, დანიშნავს და დაითხოვს საქმეთა მმართველი.

---

54. დადგენილება ც.ა.კ.

„საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენის სტატუტის დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენის შემდეგი სტატუტი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. დეკემბრის 31.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ტ ა ტ უ ტ ი

„საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენისათვის.

1. საქართველოს სსრ-ის წინაშე წარმოებისა, სამეცნიერო მოღვაწეობისა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სამსახურის სფეროში განსაკუთრებულ დამსახურებათა აღსანიშნავად არსდება „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენი.

2. „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენით შეიძლება დაჯილდოებულ იქნეს როგორც ცალკეული მოქალაქე, ისე კოლექტივი, დაწესებულება, საწარმო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

3. „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოება მოხდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ უწყებებისა, ცენტრალური დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზეციების ცენტრალური ორგანოების წარდგენით.

4. „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენი ნიშანია, რომელიც გამოხატავს წითელ დროშას კბილანის და ქარხნის ფონზე; დროშაზე წარწერაა ქართულად: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ კბილანის ცენტრში წითელი ვარსკვლავია, ხოლო წრეხაზის ზემო ნაწილში ინიციალები „სსსრ“; ორდენის ქვედა ნაწილში—ნამგალი და ურო, გვერდით—პურის თავთავი.



5. „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენს დაჯილდოებული ატარებს მკერდზე მარცხნივ.

ორდენით დაჯილდოებული კოლექტივი მიამაგრებს მას თავის დროშაზე.

6. „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენთან ერთად დაჯილდოებულს მიეცემა შემდეგი შინაარსის სიგელი: „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ამა და ამ მოქალაქისა თუ ამა და ამ კოლექტივის და სხვა მისთ.) განსაკუთრებულ დამსახურებათა აღსანიშნავად, რაც მას მიუძღვის საქართველოს სსრ-ის წინაშე (ამა და ამ სფეროში) და რაც მან მოიხვეჭა (ამისა და ამისათვის ამა და ამ დროს), ადგენს: დაჯილდოებულ იქნეს იგი „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენით. სიგელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს მოაწერენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი და დაესმის ბეჭედი.

7. დაჯილდოებულისათვის „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენის ჩასაბარებლად ეს ორდენი გაეგზავნება იმ უწყებას, დაწესებულებას თუ ორგანიზაციას, რომელმაც შეიტანა წარდგინება დაჯილდოების შესახებ.

8. უკეთუ „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულ იქნა მოქალაქე მისი სიკვდილის შემდეგ ან უგზოუკვლოდ დაკარგული მოქალაქე, ორდენი გადაეცემა მასთან მცხოვრებ მისი ოჯახის წევრებს.

9. უკეთუ „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენით უკვე დაჯილდოებული მოიხვეჭს ახალ დამსახურებას, იგი შეიძლება კვლავ დაჯილდოებულ იქნეს ამ ორდენით.

10. „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებული მოვალეა:

ა) შეასრულოს ყველა საერთო მოვალეობა, რასაც მას კანონი აკისრებს;

ბ) ხელი შეუწყოს სოციალისტურ მშენებლობას სოციალისტურ შეჯიბრში, სადამკვრელო ცეხებში, ბრიგადებში, რაზმებში და სხვა მისთ. აქტიური მონაწილეობის მიღებით;

გ) აწარმოოს აქტიური საზოგადოებრივი მუშაობა საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რაც დაკავშირებულია დაჯილდოებულის ძირითად საქმიანობასთან;

დ) მიიღოს აქტიური მონაწილეობა სპეციალურ კამპანიებში, რაც დაკავშირებულია დაჯილდოებულის ძირითად საქმიანობასთან.

11. „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენის ტარება სავალდებულოა საბჭოთა ყრილობებზე, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სესიებზე, ოფიციალურ პარადებზე, სარევოლიუციო დღესასწაულებში და საზეიმო სხდომებზე.

ორდენის ტარება აკრძალულია ტუსაღობის თუ პატიმრობის დროს.

12. „საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულს ეძლევა რესპუბლიკანური ბიუჯეტიდან ყოველთვიურად: პირველი ორდენისათვის 30 მან. და თვითეული შემდგომი ორდენისათვის 25 მან.

ამ თანხების გაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

13. ამის გარდა „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულს აქვს შემდეგი შეღავათი და უპირატესობა:

ა) უმუშევრობის დროს სამუშაოზე იგი გაიგზავნება პირველ რიგში უმუშევართა სხვა კატეგორიებთან შედარებით;

ბ) საცხოვრებელი ფართობისათვის იმ სახლში, სადაც ბინის ქირა ადგილობრივი საბჭოს განაკვეთებით იხდევინება, იგი ქირას იხდის 10%-დან 50%-მდე დაკლებით—ადგილობრივი საბჭოს დადგენილებისამებრ, შემოსავლის კვალობაზე; ზედმეტი ფართობისათვის ქირას ერთმაგი რაოდენობით იხდის;

გ) პირადად უფლება აქვს ტრამვაით უფასოდ მიმოსვლისა საქართველოს სსრ ყველა ქალაქში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) კოლექტიურ მეურნეობაში შესვლის დროს ეძლევა ღარიბ მეურნეობათათვის დადგენილი შეღავათები;

ე) პენსია მიეცემა პერსონალური პენსიებისათვის კანონით დადგენილ საფუძვლებზე;

ვ) მისი შვილები ყველა სასწავლებელში მიიღებიან მუშათა შვილების თანაბრად.

14. მე-13 მუხლის „ა“, „ბ“, „ე“ და „ვ“ პუნქტებში აღნიშნული შეღავათები, დაჯილდოებულის სიკვდილის შემდეგ, ვრცელდება მის ოჯახზე: მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილებზე და მის რჩენაზე მყოფ შრომისუუნარო პირებზე.

15. „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულს ეს ორდენი ჩამოერთმევა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებით სასამართლოს განაჩენის თანახმად—დაჯილდოებული მოქალაქისა თუ კოლექტივის გამაწბილებელი მოქმედებისათვის და ამა სტატუტით დაკისრებულ მოვალეობათა სისტემატიური შეუსრულებლობისათვის.

16. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ და ამ ორდენის ჩამორთმევის შესახებ გამოქვეყნდება ოფიციალურ ორგანო „კომუნისტში“.

17. „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის“ ორდენის ტარება ისეთი პირის მიერ, რომელსაც ამის უფლება არ აქვს, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

---

55. დადგენილება ც.ა.კ.

ქ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფროსისათვის უფლების მიცემის შესახებ—დაადოს გადასახდელი—ერთ თვემდე დაპატიმრება საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დამრღვევთ და აგრეთვე ქალაქის სანიტარული მდგომარეობისა და ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების თაობაზე გამოცემული სავალდებულო დადგენილებების დამრღვევთ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დროებით, ვიდრე განსაკუთრებული დადგენილება გამოიცემოდეს, მიეცეს უფლება ქ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს უფროსს—დაადოს სადმინისტრაციო წესით გადასახდელი—ერთ თვემდე დაპატიმრება საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დამრღვევთ და აგრეთვე ქალაქის სანიტარული მდგომარეობისა და ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აღნიშნული გადასახდელის დადების წესი და აგრეთვე ამ გადასახდელის დადების შესახებ მიღებულ დადგენილებათა გადასინჯვისა და განსაჩივრების წესი განისაზღვრება ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებით, რაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის სექტემბრის 17-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 20 №-ი, მუხ. 207).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. დ. ა. **შაბანოვი.**

1932 წ. მარტის 29.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 78 №-ში 1932 წ. აპრილის 3.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

56. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მრეწველობის გაწყობილობის აღწერის ჩატარების შესახებ.

„მრეწველობის გაწყობილობის აღწერის ჩატარების შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წლის ნოემბრის 29-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 68 №-ი, მუხ. 457) და ამავე საკითხის შესახებ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 15-ის დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად („ზარია ვოსტოკა“-ს 65 №-ი 1932 წ. მარტის 18-ისა), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას (სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს ხაზით) მიიღოს თავის თავზე საქართველოს სსრ ტერიტორიის ფარგლებში მრეწველობის გაწყობილობის აღნუსხვის ხელმძღვანელობა და მოწყობა ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს საერთო ხელმძღვანელობით და დირექტივების მიხედვით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უწყებათ და რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციათ და საწარმოთ: ა) მრეწველობის გაწყობილობის აღწერა აწარმოონ თავიანთი ძალებით, საინჟენერო-სატეხნიკო ძალების გამოყენებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს დირექტივებისა და ხელმძღვანელობის თანახმად; აღწერა ჩატარებულ იქნეს აღნიშნული სამმართველოს მიერ დადგენილ ვადაზე; ბ) დაამთავრონ არა უგვიანეს 1932 წლის აპრილის 1-ისა მათი კუთვნილი ლითონდამმუშავებელი გაწყობილობის პასპორტიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს და მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიება, რაც უზრუნველჰყოფს მრეწველობის გაწყობილობის აღწერის თავის დროზე ჩატარებას სათანადო ტერიტორიის ფარგლებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მარტის 20.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 70 №-ში 1932 წ. მარტის 24.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

57. დადგენილება ს.კ.ს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანური სადარგო შენაერთების საქართველოს ბალ-ბოსტან-კავშირისა და საქართველოს მემინდვრეობა-მეცხოველეობის კავშირის რეორგანიზაციისა და საქმეების და ქონების ლიკვიდაციისათვის კომისიების დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანური სადარგო შენაერთების—საქართველოს ბალ-ბოსტან-კავშირისა და საქართველოს მემინდვრეობა-მეცხოველეობის კავშირის—რეორგანიზაციისა და საქმეების და ქონების ლიკვიდაციისათვის, თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 14-ის დადგენილებისა „დამმზადებელი აპარატის რეორგანიზაციის თათაობაზე გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 13-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩატარების ღონისძიებათა შესახებ", მოწყობილ იქნეს კომისიები:

ა) **საქართველოს ბალ-ბოსტან-კავშირის ხაზით** — ამხანაგთა გურგენიძის (თავმჯდომარე), გრიგოლიას და მეგრელიძის შედგენილობით;

ბ) **საქართველოს მემინდვრეობა-მეცხოველეობის კავშირის ხაზით**—ამხანაგთა ხუნდაძისა (თავმჯდომარე), გრიგოლიას და ბაგაპშის შედგენილობით.

დროებით, ვიდრე ამხ. ხუნდაძე წარვლინებიდან დაბრუნდებოდეს, კომისიაში თავმჯდომარეობა დაეკისროს ამხ. დომენიას.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ კომისიებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირების ქონების გადაცემისა და საქმეების და ქონების ლიკვიდაციის გარდა, დაეკისროს აგრეთვე ხელმძღვანელობის გაწევა სა-

№ 7 ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის სათანადო ქვედა რგოლეულების ლიკვიდაციისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მარტის 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 64 №-ში 1932 წ. მარტის 17.

ვაჭრობა. მომარაგება

58. დადგენილება ს.კ.ს.

„დამმზადებელი აპარატის რეორგანიზაციის თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისარიატ საბჭოს 1932 წ. თებერვლის 13 დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

„დამმზადებელი აპარატის რეორგანიზაციის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 13-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-10 №-ი, მუხ. 53; სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტია" 44 №-ი 1932 წ. თებერვლის 14-ის) და ამ დადგენილების განსავითარებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ-ში დამმზადებელი სისტემის რეორგანიზაციის შესახებ" გამოცემული 1932 წ. მარტის 7-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 59 №-ი 1932 წ. მარტის 11-ის) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანურ სადარგო კავშირებს—საქართველოს ბაღ-ბოსტან-კავშირს და საქართველოს მემინდვრეობა-მესაქონლეობის კავშირს, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საგეგმო დამზადებათა განმახორციელებელ სხვა ორგანიზაციებს—გადასცენ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნულ, 1932 წ. მარტის 7-ის, დადგენილებაში დასახელებულ დამმზადებელ ორგანიზაციებს, რომელნიც შედიან შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტისა („ზაგოტზერნო" და „ზაგოტხლოპოკ"), მომარაგებისა, მსუბუქი მრეწველობისა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში, სათანადო სადამზადებლო ოპერაციები—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმავე, 1932 წ. მარტის 7-ის, დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 13-ისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 7-ის დადგენილებების თანახმად საქართველოს სსრ-ში მოსაწყობ სადამმზადებლო აპარატის ორგანოებს გადაეცემათ მათზე გადასული ოპერაციების შესაბამისი: ა) დამმზადებელი აპარატები ცენტრისა და პერიფერიისათვის და ბ) გადამმუშავებელი და დამხმარე საწარმონი.

სადამმზადებლო აპარატის ახალი ორგანოებისათვის გადასაცემ საწარმოთა სიას შეიმუშავებს სსრკ ის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში, დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებთან და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირთან—ცეკავშირთან—შეთანხმებით, და ორი დეკადის ვადაზე წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

3. რეორგანიზებულ დამმზადებელ ორგანიზაციებს მათზე გადასულ ფუნქციებთან დაკავშირებული ქონება, კაპიტალები და ფასეულობა გადაეცემათ სსრკ-ის მთავრობის სპეციალური დადგენილებებით განსაზღვრული წესისამებრ.

შენიშვნა. რეორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის ქონებისა, კაპიტალებისა და ფასეულობის განაწილების საფუძვლები აღნიშნულია ამა დადგენილების მე-5 მუხლში.

4. საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის სისტემაში მოწყობილ იქნეს:

ა) ღვინის მრეწველობის რესპუბლიკანური სადარგო შენაერთი „საქღვინკომბინატი", რომელსაც დაეკისროს ღვინის დამზადებისა, გადამუშავებისა და რეალიზაციის ფუნქციები, თანაც გადაეცეს მას საქართველოს ბალ-ბოსტანკავშირის სათანადო ოპერაციები;

ბ) ყველისა, კარაქისა და რძის დამმუშავებელი მრეწველობის რესპუბლიკანური სადარგო შენაერთი „საქკარაქმრეწვი", რომელიც შედის საერთო-საკავშირო სადარგო შენაერთ „სოიუზმასლოპრომ"-ში ამ უკანასკნელის მიერ მისი მოქმედების საერთო დაგეგმვისა და მოწესრიგების საფუძველზე (ე. ი. „შინაგაჭრობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 13-ის დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ—სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-17 №-ი, მუხ. 181); თანაც გადაეცეს მას საქართველოს მემინდვრეობა-მეცხოველეობის კავშირისა და „საქრძეპროდუქტის" სათანადო ფუნქციები.

მიენდოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს დააამტკიცოს აღნიშნული რესპუბლიკანური სადარგო შენაერთების წესდებები, რისთვისაც მათი საწესდებო კაპიტალების რაოდენობა შეუთანხმოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მოქმედების მოსპობასთან დაკავშირებით მისი ფუნქციები: სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონებში ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის აგრომომსახურეობის გაწევის ხაზით გადაეცეს „ტრაქტორცენტრის“ სააქციო საზოგადოების სისტემას, ხოლო ამ სადგურების რაიონების გარეშე ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის აგრომომსახურეობის გაწევისა და მათი საწარმოო გაერთიანების ხაზით—კოლექტიურ მეურნეობათა სარაიონო კავშირებს, საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრის საერთო ხელმძღვანელობით.

რეორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეალური აქტივები და აქტივების აგებულობის შესაბამისი პასივები, რაც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 7-ის დადგენილებაში აღნიშნულ ორგანოებზე გადასულ ოპერაციებს ეხება, გადაეცეს ამ ორგანოებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქონებისა, კაპიტალებისა და ფასეულობის ის ნაწილი, რაც დარჩება ახალი დამმზადებელი ორგანოებისათვის საათანადო ქონებისა, კაპიტალებისა და ფასეულობის გამოყოფის შემდეგ, ლიკვიდირებულ უნდა იქნეს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სარაიონო კავშირებისა, სადაბე ამხანაგობებისა და სხვა პირველადი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების საქმეებისა და ქონების ლიკვიდაცია მოხდება „კოოპერატიული ორგანიზაციების ლიკვიდაციისა, შეერთებისა და დაყოფის გამო მათი მოსპობის წესის შესახებ“ გამოცემული დებულების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 37 №-ი, მუხ. 372).

ზემოაღნიშნულ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანური სადარგო კავშირების (ბაღ-ბოსტან-კავშირი და მემინდვრეობა-მეცხოველეობის კავშირი) რეორგანიზაციისა და მათი ქონების ლიკვიდაციისათვის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან საქართველოს სსრ-ში მოეწყობა სპეციალური კომისიები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული შედგენილობით.

6. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 13-ის დადგენილებისა „დამმზადებელი აპარატის რეორგანიზაციის შესახებ“, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 7-ის დადგენილებისა „ა/კსფსრ-ში დამმზადებელი სისტემის რეორგანიზაციის შესახებ“ და ამა დადგენილების განხორციელებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში.

მიენდოს ამ უკანასკნელს—წარმოუდგინოს ხუთი დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო სახელმწიფო დამმზადებელი ორგანოების კონტორების სამყოფელი პუნქტების სია.

7. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებიდან და აგრეთვე სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 13-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებიდან და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 7-ის დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მარტის 14.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 63 №-ში 1932 წ. მარტის 17.

სანადირო და სათევზე მეურნეობა

59. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს თევზის" სააქციო საზოგადოების გამგებლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სათევზე სანახის გადაცემის თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-5 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 5-ის დადგენილებისა „საქართველოს თევზის" სააქციო საზოგადოების გამგებლობაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სათევზე სანახის გადაცემის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-2 №-ი, მუხ. 16) და ამ მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 160) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამა დადგენილების მე-2 მუხლის დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის თანახმად, ხოლო მე-4 მუხლის დარღვევისათვის—იმავე კოდექსის 108 მუხლის თანახმად.

შენიშვნა. სათევზე რეწაობის ზედამხედველობისა, მილიციისა და საზღვრების დამცველი რაზმის თანამშრომელი, რომელიც აღმოაჩენს ამა დადგენილებით აკრძალულ თევზის ჭერას ან თევზის პროდუქტების გაყიდვას მე-4 მუხლში გათვალისწინებული წესების დარღვევით, დაპრემირებულ უნდა იქნეს იმ ანარიცხებიდან:

ა) რაც გადაიდება 30%-ის რაოდენობით კონფისკებული და ჩამორთმეული საწარმოო იარაღისა და თევზის პროდუქტების რეალიზაციით მიღებული თანხიდან;

ბ) რაც გადაიდება 30%-ის რაოდენობით დამრღვევთათვის გადახდევინებული ჯარიმებიდან".

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მარტის 23.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

60. დადგენილება ს.კ.ს.

საცხოვრებელი ფართობით საინჟენერო-სატეხნიკო დარგის მომუშავეთა უზრუნველყოფის შესახებ.

საცხოვრებელი ფართობით საინჟენერო-სატეხნიკო დარგის მომუშავეთა უზრუნველყოფისათვის—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მომარაგებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს განკუთნონ ახლად ასაშენებელ საცხოვრებელ სახლებში საინჟენერო-სატეხნიკო დარგის მომუშავეთა საჭიროებისათვის საცხოვრებელი ფართობის 3 პროცენტი.

2. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

ხაქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მარტის 4.
ტფილისი.

შ რ ო მ ა

61. დადგენილება ს.კ.ს.

ხე-ტყის მასალისა და შეშის გამოსაზიდად სადგურებამდე, წყლით ჩამოტივტივების ადგილებამდე და ქარხნებამდე ხე-ტყის დამზადების რაიონებში მოსახლეობის შრომის ფასიან საჭაპანზიდვო ბეგარაზე გაწვევის შესახებ.

შეშა-ხეტყის დამზადების რაიონებიდან სადგურებამდე, წყლით ჩამოტივტივების ადგილებამდე და გადამმუშავებელ საწარმომდე ხე-ტყის მასალისა და შეშის თავის დროზე გამოზიდვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაწვეულ იქნეს ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული რაიონების მოსახლეობა შრომის ფასიან საჭაპანზიდვო ბეგარაზე 1932 წ. აპრილისა, მაისისა და ივნისის თვეების განმავლობაში.

2. აღნიშნული ბეგარით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ხე-ტყის დამმზადებელი ორგანიზაციების განკარგულებაში საჭაპანზიდვო და სატრანსპორტო საშუალებათა მიჩენა შემდეგი რაოდენობით:

ა) **ხობის რაიონში**—5.400 საზიდავ-დღე—ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) **ზუგდიდის რაიონში** —10.000 საზიდავ-დღე—ზუგდიდისა და ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობების საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

გ) **ფოთის საქალაქო საბჭოს** საგამგებლო რაიონში—900 საზიდავ-დღე ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

დ) **სენაკის რაიონში**—8.700 საზიდავ-დღე—ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

ე) **ამბროლაურის რაიონში**—15.000 საზიდავ-დღე—ამბროლაურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

ვ) **ონის რაიონში**—9.000 საზიდავ-დღე—ამბროლაურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

ზ) **ჩხოროწყუს რაიონში**—8.250 საზიდავ-დღე—ზუგდიდის სატყეო სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

თ) **წალენჯიხის რაიონში**—2.550 საზიდავ-დღე — სვანეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

ი) **ზემო-სვანეთის რაიონში**—12.000 საზიდავ-დღე—სვანეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

კ) **ცაგერის რაიონში**—6.000 საზიდავ-დღე — სვანეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

ლ) **ხორაგაულის რაიონში**—12.000 საზიდავ-დღე—ხორაგაულის სატყეო სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

მ) **სტალინისის (ხაშურის) რაიონში**—2.000 საზიდავ-დღე- ხორაგაულის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის და 9.000 საზიდავ-დღე—სტალინისის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

ნ) **ოზურგეთის რაიონში**—4.800 საზიდავ-დღე—ოზურგეთის სატყეო სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

ო) **ჩოხატაურის რაიონში**—2.200 საზიდავ-დღე ოზურგეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

პ) **ლანჩხუთის რაიონში**—7.200 საზიდავ-დღე—ფოთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

ჟ) **ჭიათურის რაიონში**—10.000 საზიდავ-დღე—ჭიათურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

რ) **აფხაზეთის ავტ. სსრ-ში**—30.000 საზიდავ-დღე—აფხაზეთის სატყეო ტრესტის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

ს) **აჭარისტანის ავტ. სსრ-ში**—6.400 საზიდავ-დღე—აჭარისტანის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის;

ტ) **სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში**—20.400 საზიდავ-დღე—სტალინირის (ცხინვალის) და ჭურისხევის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საჭიროებათა მომსახურეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამა დადგენილებაში აღნიშნული შრომის ფასიანი საჭაპანზიდვო ბეგარის შეფარდების დროს გაწვეულ მეურნეობათა მიმართ ზედმიწევნით შესრულებულ უნდა იქნეს ის პირობები, რაც გათვალისწინებულია „სოფლის მეურნეობაში და ჭაპანზიდვის ტრანსპორტში საწვავი ძალის დაცვისა და გამრავლებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 11-ის დადგენილების მე-3 მუხლით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 57 და „კომუნისტი-“ს 1931 წ. 37 №-ი).

ყოველ შემთხვევაში ამა დადგენილების წესისამებრ თვითეული წყვილი მუშა-საქონლის გამოყენება ხუთ დღეზე მეტი ვადით არ შეიძლება.

შენიშვნა. ის დრო, რაც დასჭირდება გაწვეულ საჭაპანზიდვო და სატრანსპორტო საშუალებათა გავლას სამყოფელი ადგილიდან სამუშაოების ადგილებამდე, ჩაითვლება ბეგარაში და მისთვის გადახდილ უნდა იქნეს სასყიდელი.

4. ამა დადგენილების თანახმად გასაწვევი ჭაპანზიდვის ძალისა და სატრანსპორტო საშუალებების სამუშაოზე გამოყვანის საკალენდარო გეგმები,— მე-2 მუხლში აღნიშნულ საზიდავ-დღეთა რაოდენობის სათანადო განაწილებით, დადგენილ უნდა იქნეს სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა დირექტორებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შეთანხმებით, ხოლო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში—აგრეთვე სათანადო სარაიონო საკოლმეურნეო კავშირთან შეთანხმებით.

საჭაპანზიდვო და სატრანსპორტო საშუალებათა სამუშაოზე გამოყვანას განახორციელებენ, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მინიშნებით, ინდივიდუალურ სექტორში—სათანადო სასოფლო საბჭოები, ხოლო საკოლმეურნეო სექტორში—კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობები.

ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ ხეტყის მასალისა და შეშის გამოზიდვის ორგანიზაცია დაეკისროს ხეტყის დამმზადებელ სათანადო ორგანოებს.

5. ამა დადგენილების წესისამებრ შესრულებული სამუშაოს სასყიდელს გაიღებენ ხე-ტყის დამმზადებელი ორგანოები უწყებულ ადგილას არსებული შეფასების მიხედვით.

ხე-ტყის დამმზადებელი ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველჰყონ მათ განკარგულებაში გადაცემული საჭაპანზიდვო ძალა ფურაჟით, ხოლო თანგამყოლი მესაზიდავენი—სურსათით.

6. წინადადება მიეცეს ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და ფოთის საქალაქო საბჭოს იხმარონ ღონისძიება ამა დადგენილების თავის დროზე და სავსებით განხორციელებისათვის.

მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორ-

ციელონ ხსენებული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მარტის 23.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 72 №-ში 1932 წ. მარტის 27.

სოციალურ-კულტურული წყობილება

62. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ დაწყებითს და საშუალო სკოლაში სასკოლო რეჟიმისა და ბავშვთა ჯანმრთელობის საქმის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

დაწყებითს და საშუალო სკოლაში სასწავლო-საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაობის წესიერი ორგანიზაციისა, აგრეთვე არსებული სასკოლო რეჟიმის და მოსწავლეთა ჯანმრთელობის საქმის ნაკლოვანებათა თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ შემოიღოს ყველა სკოლაში ისეთი განრიგება და განწესი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება მოსწავლეთა არა მარტო სასწავლო-საწარმოო მუშაობა, არამედ მათი საზოგადოებრივი მუშაობაც.

სასკოლო მეცადინეობის ტიპურ განწესს და სასწავლო, საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაობით მოსწავლეთა დატვირთვის ნორმებს—ისე, რომ ანგარიშში მიღებულ იქნეს სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ძალღონე და შესაძლებლობანი,—ადგენს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

დაწესებულ იქნეს სკოლის გამგის პერსონალური პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე დადგენილი განრიგებისა და განწესის ზედმიწევნით განხორციელებისათვის.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—მისცეს ყველა სკოლის გამგეს დირექტივები იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა მიერ საწარმოში, კოლექტიურ მეურნეობაში და სხვა მისთ. საწარმოო სწავლის გავლის დროს შეუძლებელია მათი გამოყენება ისეთ სამუშაოზე, რაც მათ ძალღონეს აღემატება და რაც საზიანოა მათი სასკოლო მეცადინეობისათვის.

დაევალოს იმ საწარმოს, კოლექტიური მეურნეობისა და სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელშიაც მოსწავლეებმა საწარმოო პრაქტიკა უნდა გაიარონ, მოსწავლეთა საწარმოო მუშაობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი შეუთანხმოს სკოლის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევა ამ წესის შესრულებისათვის დაეკისროს სათანადო საქალაქო და სასოფლო საბჭოს.

3. დაევალოს სკოლების გამგეთ—გადასინჯონ ერთი თვის ვადაზე, სასკოლო და საბავშვო კომუნისტურ ორგანიზაციებთან ერთად, მოსწავლეთა მიერ შესასრულებელი საზოგადოებრივი სამუშაოს ხასიათი და შინაარსი იმ აზრით, რათა ყველა ორგანიზაციის მუშაობის ერთიანი გეგმის საფუძველზე მიღწეულ იქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ საზოგადოებრივი მუშაობის შინაარსი შეესაბამებოდეს სკოლის აღზრდა-განათლების მიზნებს და თანაც თავიდან აცილებულ იყოს საზოგადოებრივი მუშაობით ცალკეულ მოწაფეთა ზედმეტი დატვირთვა.

ამასთან ერთად მიღებულ იქნეს ღონისძიება ყველა ბავშვის საზოგადოებრივ მუშაობაში ჩასაბმელად.

4. შემცირებულ იქნეს პიონერ-ორგანიზაციების სხდომებისა, თათბირებისა და შეკრებების რიცხვი სხვადასხვა სახის სასწავლო-საწარმოო და საზოგადოებრივი მუშაობით მოსწავლეთა დატვირთვის ნორმების შესაბამისად.

5. დაევალოს სკოლების გამგეთ, ჯგუფების ხელმძღვანელთ, გამძღოლთ და აგრეთვე სახალხო განათლების განყოფილებათა ორგანოებს და სკოლის-გარე კულტურულ დაწესებულებებს—შემოიღონ ჰაერზე თამაშთა, სეირნობათა და სხვა მისთ. სისტემატიური ორგანიზაცია მოსწავლეთა გამოსასვლელ დღეებში.

კატეგორიულად აიკრძალოს გამოსასვლელ დღეებში რაიმე სხდომის, თათბირის და შეკრების გამართვა.

6. დაევალოს ადგილობრივ საბჭოებს—გააძლიერონ მუშაობა სკოლის-გარე დროს ბავშვთა ორგანიზებისათვის—ეს უნდა მოხდეს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა სახლებში, მუშათა სახლებში და მუშათა საერთო საცხოვრებლებში საბავშო ბაქნებისა და ოთახების მოწყობით და სკოლის-გარე საბავშვო დაწესებულებათა (კლუბი, ბიბლიოთეკა, კინო და სხვ.) მუდმივი ქსელის გაფართოებით; აგრეთვე იხმარონ ღონისძიება, რათა სკოლის-გარე ტიპის საბავშვო დაწესებულებანი უზრუნველყოფილ იქნენ სათანადო სადგომებით ახლად ასაშენებელ მუშათა სახლებსა და დაბებში.

მიენდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე ბავშვთა შორის სკოლის-გარე მუშაობის სისტემა და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს:

ა) უზრუნველჰყოს სკოლის სასანიტარო ზედამხედველობის მოთხოვნათა შესრულება და გააძლიეროს სკოლის სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობა მოსწავლეთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის დამყარებისათვის და ამ მუშაობაში პედაგოგებისა, მშობლებისა და პიონერ-გამძღოლთა ჩაბმისათვის, რის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისაც მათ ამ მუშაობის სფეროში უნდა გაეწიოს სისტემატიური ინსტრუქტირება, კონსულტაცია და კონკრეტული ხელმძღვანელობა;

ბ) შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე გეგმა მოსწავლეთა სრული დისპანსერიზაციისა მუშათა ძირითად რაიონებში და გეგმა მოსწავლეთათვის სისტემატიური სამკურნალო ზედამხედველობის გაწევისა სხვა რაიონებში;

გ) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან, ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეუდგეს მასიური გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლას ბავშვთა და მოზარდთა შორის (გაკვეთილებს შუა დასვენების დროს მოსწავლეთა ჰაერზე ყოფნის ორგანიზაცია, სკოლის სასადილოების წესიერი მდგომარეობის შექმნა, მოსწავლეთა მიერ ჰიგიენის ელემენტარული პირობების შესრულება და სხვა მისთ.).

დაევალოს სკოლების გამგეთ—უზრუნველჰყონ სასკოლო სადგომებისა და ეზოების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა და სისუფთავე.

8. აიკრძალოს სკოლის განრიგების ასე თუ ისე შეცვლა კურსების ან მოზრდილთა სკოლის საჭიროებისათვის შესაფარდებლად, უკეთუ მათ ნებადართული აქვთ სკოლის შენობაში მეცადინეობა.

დაწესებულ იქნეს სპეციალური სასანიტარო ზედამხედველობა იმ სკოლებისათვის, სადაც მოზრდილთა მეცადინეობაც სწარმოებს.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს, პროფესიონალური, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისა, დამხმარე საბჭოებისა და ცენტრალური და ადგილობრივი პრესის მონაწილეობით, ჩაატარონ იმ ღონისძიებათა ფართო პროპაგანდა, რაც აღნიშნულია ამა დადგენილებაში და ეხება სასკოლო მუშაობის გაუმჯობესებას; კერძოდ, დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს—ჩაატაროს აღნიშნული საკითხების განხილვა მასწავლებელთა კონფერენციებზე და მოსწავლეთა კონფერენციებზე.

10. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მარტის 31.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 85 №-ში 1932 წ. აპრილის 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან საკონდიციო ბიუროს მოწყობის შესახებ

აბრეშუმის მრეწველობის ფაბრიკატებისა და ნახევარფაბრიკატების დამმზადებელთა და მწარმოებელთა შორის სათანადო ურთიერთობის დამყარებისა და აბრეშუმის მრეწველობის პროდუქციის თვისებისათვის კონტროლის დაწესების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან მოწყობილ იქნეს საკონდიციო ბიურო.

2. საკონდიციო ბიუროს დაეკისროს:

ა) პარკის ხარისხის ანალიზი და გამორკვევა;

ბ) რანდემანის დაწესება დამმზადებელსა და ფაბრიკას შორის ანგარიშის გასწორებისათვის და ფაბრიკებში პარკის ხარჯვის ნორმის განსაზღვრისათვის;

გ) ყაჭის თვისების შემოწმება შემუშავებული სტანდარტების მიხედვით, აგრეთვე ფრიზონისა, ფრიზონეტისა და ბასინეტისა;

დ) გრეხილოვანი აბრეშუმის კლასიფიკაცია;

ე) ნერგისა და აბრეშუმის ჭიის თესლის სტანდარტიზაცია;

ვ) დასკვნების მიცემა აბრეშუმის მრეწველობის ნედლეულისა, ნახევარ ფაბრიკატებისა და ფაბრიკატების თვისების საკითხთა შესახებ.

3. საკონდიციო ბუიროს დასკვნები სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისათვის ურთიერთშორის აბრეშუმის პროვენანსებზე ანგარიშის გასწორების დროს.

4. საკონდიციო ბიუროს შესანახი ხარჯი დაიფარება ანალიზების შემოსავლით. ეს შემოსავალი შეადგენს სპეციალურ სახსარს, რაც ინახება და იხარჯება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ (კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 141).

5. ანალიზისათვის წარდგენილი აბრეშუმის მრეწველობის პროდუქტები, მათ შორის პარკიც, რჩება უფასოდ საკონდიციო ბიუროს განკარგულებაში.

6. ანალიზისათვის გადასახდელი გასამრჯელოს ნორმები და აგრეთვე ანალიზისათვის წარსადგენი პროდუქციის ნორმები განისაზღვრება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შეთანხმებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. მარტის 23.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი

64. დადგენილება ც.ა.კ.

ასსრ დაარსების ათი წლის თავის აღსანიშნავად ამნისტიის თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის მარტის 11-ის დადგენილების საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე განხორციელების წესის შესახებ.

ა/კსფსრ-ის დაარსების ათი წლის თავის აღსანიშნავად ამნისტიის შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის მარტის 11-ის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 60 1932 წ. მარტის 12-ისა) მე-18 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ა/კსფსრ-ის დაარსების ათი წლის თავის აღსანიშნავად გამოცემული ამნისტიის შეფარდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დაეკისროს:

ა) იმ პირთა მიმართ, რომელნიც თავისუფლების აღკვეთას შრომა-გასწორების დაწესებულებებში იხდიან ან რომელნიც იძულებითი მუშაობის გამგებელ ორგანოებზე ირიცხებიან,—განსაკუთრებულ კომისიებს, რომელნიც ეწყობიან აღნიშნული დაწესებულებებისა და ორგანოების სამყოფელ ადგილას სასამართლო ორგანოს წარმომადგენლისა (კომისიის თავმჯდომარე) და პროკურატურის და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენლების შედგენილობით;

ბ) იმ პირთა მიმართ, რომელთა საქმეც სასამართლო დაწესებულებისა და წინასწარი გამოკვლევის ორგანოს წარმოებაშია,—სათანადო სასამართლოს და ორგანოს, რომელთაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, უფლება აქვთ, პროცესის სტადიის მიხედვით, მოსპონ სისხლის სამართლის წესით დევნა;

გ) იმ პირთა მიმართ, რომელთა საქმეც საადმინისტრაციო დაწესებულების წარმოებაში იყო ან არის,—იმ ორგანოებს, რომელთაც დაადვეს სოციალური დაცვის ღონისძიება ან გადასახდელი ან რომელნიც კანონის თანახმად უფლებამოსილი არიან დაადვან სოციალური დაცვის სათანადო ღონისძიება ან გადასახდელი.

2. საჩივარი ამნისტიის არასწორად შეფარდებისა ან არ შეფარდების შესახებ შეიტანება: ა) 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული კომისიების დადგენილების გამო—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში; ბ) დანარჩენ შემთხვევაში—საერთოდ დადგენილი წესისამებრ.

3. თვალყურის დევნება ა/კსფსრ დაარსების ათი წლის თავის აღსანიშნავად გამოცემული ამნისტიის განხორციელებისათვის იმ პირთა მიმართ, რომელნიც მსჯავრდადებული არიან საქართველოს სსრ-ის სასამართლო და საადმი-

284

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრაციო ორგანოების განაჩენით და დადგენილებით, და აგრეთვე იმ საქმეების მიმართ, რაც აღნიშნული ორგანოების წარმოებაშია, დაეკისროს საქართველოს სსრ-ის პროკურორს და წინადადება მიეცეს მას სამი დღის ვადაზე გამოსცეს, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ზემოხსენებული ამნისტიის შეფარდებისათვის.

დაევალოს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ მოაწყოს ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული კომისიები.

4. წინადადება მიეცეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიმნულ კომისიებს ა/კსფსრ-ის დაარსების ათი წლის თავის აღსანიშნავად გამოცემული ამნისტიის შეფარდება დაამთავრონ 1932 წლის აპრილის 12-სათვის; ამასთანავე ეს ამნისტია პირველ რიგში თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფ პირთა მიმართ უნდა განხორციელდეს.

5. ა/კსფსრ-ის დაარსების ათი წლის თავის აღსანიშნავად გამოცემული ამნისტიის შეფარდება იმ პირთა მიმართ, რომელნიც მსჯავრდადებული არიან სამხედრო ტრიბუნალების განაჩენით, და აგრეთვე იმ საქმეთა მიმართ, რაც ამ ტრიბუნალებისა და სამხედრო პროკურატურის წარმოებაშია, დაეკისროს კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო-სასამართლო ორგანოებს.

6. მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ სათანადო ღონისძიება, რათა ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე განხორციელებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის მარტის 11-ის დადგენილება „ა/კსფსრ-ის დაარსების ათი წლის თავის აღსანიშნავად ამნისტიის შესახებ“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. მარტის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 63 №-ში 1932 წ. მარტის 13.

მთავლიტი № 880. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.300.